



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 108

2022 წლის 10 ივნისი

ქ. თბილისი

**სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის  
უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი  
პროგრამის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის N156/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N621719, 10.06.2022) შესაბამისად

#### **ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსი (შემდგომში კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს პროექტის შესახებ კრებსითი ინფორმაციის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) საერთაშორისო ურთიერთობებისა

და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსი - რუსუდან ჯობავა და სპეციალისტი - გიორგი წოწორია.

8. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
9. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

